ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

ძვირფასო მასწავლებელო,

ეს კინგსის გასული სეზონის **საოლიმპიადე ამოცანებია,** რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, **ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.**

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე **რეგისტრაცია უკვე დაიწყო.** მოსწავლე **დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge**

რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?

კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორია და ინტელექტი.

რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწლეობის მიღება?

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე 12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ: https://kings.ge/news/1058

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-7 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელი, თანდებულიანი ბრუნვები,ზედსართავი სახელის რაობა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში:
   „ნეკერჩხლის ყვავილი ღუდღუდებდა.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
2. რომელია კრებითი სახელი წინადადებაში:
   „ ცხვრის ფარა მთაზე შეფენილიყო.“
   ა) მთა ბ) ფარა გ) ცხვარი
3. რომელ ბრუნვაშია სიტყვები: მეგობარმა, თამადამ ?
   ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) ნათესაობითში
4. რომელია თანდებულიანი სახელი წინადადებაში:
   „ დედასავით საყვარელი არავინაა დედამიწაზე!“
   ა) საყვარელი ბ) დედამიწა გ) დედასავით
5. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი „სოფლამდე“?
   ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ვითარებითში
6. რომელი სიტყვაა ზედსართავი სახელი: „ხმელი წიფელი სევდიანად გადაჰყურებდა არემარეს.“
   ა) სევდიანად ბ) წიფელი გ) არემარეს
7. რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი *ლამაზის?*
   ა) ნათესაობითში ბ) მიცემითში გ) მოქმედებოთში

8. რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„დიდი და ნათელი დღეები გველის.“
ა) წოდებითში ბ) სახელობითში გ) მოქმედებითში
9. რომელია წარმოქმნილი ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„საკაბე ნაჭერი მიყიდა დიდედამ.“
ა) ნაჭერი ბ) დიდედამ გ) საკაბე
10. რომელია წარმოქმნილი ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„უდედო ბავშვი ქუჩაში დაეხეტებოდა.“
ა) ბავშვი ბ) ქუჩა გ) უდედო

II სავარჯიშო: რიცხვითი სახელის რაობა და მართლწერა
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

11. რომელია რთული რიცხვითი სახელი?
ა) ცხრა ბ) ორმოცი გ) მეოე
12. რომელია მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელი?
ა) სამოცდარვა ბ) ოცდარვა გ) რვა
13. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) მე-100-ე სართული ბ) თექვსმეტი დღე გ) მე- VIII სკოლა
14. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) X-ე მონაწილეს ყველა თანაუგრძნობდა.
ბ) ორთავეს კარგად ესმოდა ამ წიგნის მნიშვნელობა. გ) რიგით მე-10 ვიყავი.
15. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) 3-ედ გააფრთხილეს
ბ) 1-ლი იყო სწავლაში.
გ) ხუთ-ნახევარი კგ სამურაბე მსხალი ჩაუტანა დიდედას.

III სავარჯიშო: ზმნის პირი და რიცხვი
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. რამდენპირიანია ზმნა წინადადებაში:
„თედოს და თომას ჭრელი წინდები მოუქსოვეს.“
ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
17. რომელ წინადადებაშია ორპირიანი ზმნა?
ა) დანიელს უყვარდა ნაყინი.
ბ) სამზარეულოში ჩაიდანი დუღდა.
გ) ბავშვებს სათამაშოები წაუღო.
18. რომელი ზმნა შეიწყობს ერთ ობიექტს?
ა) ძინავს ბ) წაიღიღინა გ) გააკეთებინა
19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ივრის ჭალებში გაჩაღდა მუშაობა.
ბ) მხიარულობდენ ჭრელი პეპლები.
გ) პატარა გოგლას ჭერმის ხე გაუყიდეს.
20. რომელ წინადადებაში არაა შეცდომა?
ა) და-ძმა თავისთვის ერთობოდნენ.
ბ) დედა და შვილი ქუჩაზე გადადიოდა.
გ) ვზეიმობთ ოლიმპიადაში გამარჯვებას!

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register